შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№36 (9.601)

21-28 სექტემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წარსულში დარჩენილი სიბნელე

შირაქის დასახლებაში მცხოვრები 9 ოჯახი 35 წელია ელექტრო ენერგიის გარეშე ცხოვრობდა. დეპუტატ ალექსანდრე თამაზაშვილის ინიციატივით, USAID -ის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, თითეულ ოჯახში მზის ენერგიის სისტემა დაიდგა და ამის შემდეგ ცხრავე ოჯახში აინთო სინათლე. მზის სიტემის დამონტაჟების პროცესს დაესწრო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი. გამგებლის თქმით, ბედნიერია, რადგან ამ ადამიანების გაბრწყინებული სახეები დაინახა.

„დღეს თქვენ ნახეთ, შირაქის დასახლებაში რა დიდი სიხარული მოვიტანეთ. 35 წელიწადი ამ ოჯახებს ელექტროენერგია არ ჰქონდათ და ტელეფონი რომ ტელეფონია, მასაც კი ვერ ტენიდნენ. დღეს უკვე ყველა ოჯახში აინთო სინათლე, ყველა ოჯახს შეუძლია ჰქონდეს ტელევიზორი. დამონტაჟდა თანამედროვე ევროკავშირის სტანდარტების აპარატურა, რომელიც მზის საშუალებით იღებს ენერგიას. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი გაბრწყინებული და განათებული სახეები დავინახე ამ სოფელში“ - განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

მოსახლეობის თქმით, ამ ხნის განმავლობაში ვის არ მიმართეს, რომ ელექტრო ენერგიის მიწოდება აღდგომოდათ, თუმცა ამაოდ... თითეულმა ოჯახმა გამგებელს მადლობა გადაუხადა ოცნების ასრულებისთვის.

პროექტის ექსპერტის ნიკოლოზ ნეფარიძის თქმით, მუნიციპალიტეტისა და USAID-ის ერთობლივი ინიციატივით განხორციელდა შირაქის დასახლებაში აღნიშნული პროექტი. „ეს პროექტი ხორციელდება USAID-ის დაფინანსებით. 9 ოჯახში მზის ენერგიის თანამედროვე აპარატურა დაიდგა. უნდა აღვნიშნო, რომ მარტო პანელის დაყენება არ ხდება, მოიცავს აკუმულატორების ინსტალირებას, შიდა გაყვანილობას, ნათურების დაყენებას - ეს მთლიანი კომპლექტია. რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობის სიხარული ვნახეთ. შირაქის დასახლება შეირჩა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და USAID-ის ერთობლივი ინიციატივით“ - განაცხადა ნიკოლოზ ნეფარიძემ.

ერის კულტურა მხოლოდ ისტორიის ფესვებით არ იზომება...

დედოფლისწყაროში, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ნაგვის ურნები მრავლად დაიდგა, თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც შეხვდებით ქუჩაში, ურნების ირგვლივ მიმოფანტულ თუ პოლიეთილენის პარკებში ჩალაგებულ ნაგავს. ეს პრობლემა ისე ძალუმად არ იგრძნობა ქალაქში, რადგან დასუფთავების სამსახური ნაგვის გატანას ოპერატიულად ახერხებს, მაგრამ ქალაქგარეთ ნაგვის პრობლემა ძველებურად აქტუალურია... განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც ახალგაზრდები, და არა მარტო ისინი, იკრიბებიან და დროს ატარებენ. ქეიფი და დროსტარება კარგია, მაგრამ ბუნების სიყვარულიც არ უნდა დაგვავიწყდეს. ნაგვის გროვებსა და თვითნებურ ნაგავსაყრელებსაც უხვად შეხვდება ადამიანი, თუ სოფლებისკენ გადაუხვევს. გზის ორივე მხარე სავსეა ათასგვარი წარმოშობის ნაგვით, საყოფაცხოვრებო თუ სამშენებლო ნარჩენებით.

და ყრია და ყრია უხვად ნაგავი... ზოგან იმდენი ნაგავია, თვით გოგოლის გმირი პლიუშკინიც კი ათას ჭინჭსა და ქაღალდს შეჰმატებდა თავის უხილავ კოლექციას. ეს ისე, ლირიული გადახვევისთვის.... ჩვენი ქვეყნის სიყვარულს მხოლოდ ქეიფის დროს ნათქვამი სადღეგრძელოები არ გამოხატავს, მის ბუნებაზე და სისუფთავეზე ზრუნვა გაცილებით უკეთ ლაპარაკობს ჭეშმარიტ გრძნობაზე, ვიდრე სიმთვრალეში გულზე მჯიღის ცემა და პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველი სიტყვები, რომლებიც ხშირად აღარ ახსოვთ გამოფხიზლებულთ...

რამდენიმე წლის წინ, როდესაც საზღვრები გაიხსნა და ევროპელები ჩვენს ქვეყანაშიც სტუმრის სტატუსით უხვად გამოჩნდნენ, საქართველოს უძველესი კულტურითა და სამზარეულოთი აღფრთოვანების მიღმა, მათი გაოცებული მზერა არაერთხელ შევნიშნე-აქაიქ უხვად მიმოფანტული ნაგვის გროვებით გამოწვეული. სულ რაღაც თვენახევრის წინ პოლონელ სტუმართან ერთად ქოჩების ტბის სანახავად ვიმყოფებოდით. მას არ გაკვირვებია, როდესაც ტბის მიმდებარე ტერიტორიის მოუწყობელი ინფრასტრუქტურა ნახა, მაგრამ გამოსვლისას, სანაპირო ზოლზე არსებული ნაგვის დანახვისას კითხვა დასვა- კი მაგრამ, რატომაა აქ ამდენი ნაგავიო? შემდეგ ჩვენც დავინტერესდით, თუ როგორაა პოლონეთში მოგვარებული გარემოს სისუფთავის დაცვა და როგორია იქ ეს მექანიზმი. როგორც აღმოჩნდა, წლების წინ ნაგვის პრობლემა ამ ქვეყანაშიც არსებობდა, მაგრამ შემდეგ ჯარიმების სისტემა ამოქმედდა და მოსახლეობის თვითშეგნებაც მკვეთრად შეიცვალა.

სინგაპურიზაციის თემა რამდენიმე ხნის წინ ძალიან აქტუალური იყო, ამიტომ გეტყვით, რომ იქ თურმე კანონს არავინ არღვევს, ხოლო ქუჩის დანაგვიანებისთვის ჯარიმა 500 დოლარს შეადგენს. საჯარიმო სანქციებს ქართული კანონმდებლობაც ითვალისწინებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ მხოლოდ ფურცელზე, რადგან არ მინახავს ადამიანი, ვინც ამ კანონის დარღვევისთვის დაჯარიმებულიყო.

შეგახსენებთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146-ე მუხლი არეგულირებს დასუფთავების წესებს და ამ წესების დარღვევის შემთხვევაში გამოწვეული ჯარიმებს. კოდექსის მიხედვით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებსა და ხევებში, პარკებში, გაზონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრის, ნაგვის გატანის და დასუფთავების წესების დარღვევის შემთხვევაში, ფიზიკური პირები 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირები, დაწესებულებები და ორგანიზაციები 1000 ლარით დაჯარიმდებიან. განმეორებით შემთხვევაში, გარემოს დაბინძურება, ფიზიკური პირი 500 ლარით, იურიდიული პირი კი - 3 000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება.

უცხოელების სტუმრობისას არაერთხელ დავკვირვებივარ, მათ გარემოს სისუფთავის დაცვა იმდენად აქვთ ჩვევაში გამჯდარი, რომ რამდენი ნაგვის გროვაც არ უნდა დაინახონ საქართველოში, მაინც არ მიუმატებენ თავიანთ ნაგავს. საილუსტრაციოდ ერთ მაგალითსაც მოვიყვან- რამდენიმე წლის წინ აეროპორტში გერმანელ სტუმარს ვაცილებდით. ზაფხული იყო და გასაგრილებლად ნაყინი ვიყიდეთ. ჩვენ, ქართველებმა, ნაყინის ქაღალდები, ჩვენდა სამარცხვინოდ, აეროპორტის ტრასაზე ავტომანქანის ფანჯრიდან მოვისროლეთ, ჩვენმა გერმანელმა სტუმარმა კი ქაღალდი საგულდაგულოდ დაკეცა და შეინახა. აეროპორტში მისვლისას კი ნაგვის ურნა მოძებნა და იქ ჩააგდო. სიმართლე გითხრათ, შემრცხვა. მაშინ მივხვდი, რომ ერის კულტურა მხოლოდ ისტორიის ფესვებით არ იზომება...

ინგა შიოლაშვილი

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

გვ. 3

პრემიერის უჩვეულო გულშემატკივარი

გვ. 5

ეურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 27 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

შალვა ფიფია – ყოველდღიურად დაახლოებით 4 000-დან 4 500 ტონამდე ყურძნის ჩაბარება ხდება

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „დღეის მდგომარეობით, რთველის ფარგლებში, კერძო კომპანიებმა 49 000 ტონა ყურძენი უკვე ჩაიბარეს“.

„რთველი აქტიურ ფაზაშია შესული. კერძო კომპანიების მხრიდან ძალიან დიდი ინტერესი არსებობს, 67 კერძო კომპანია იბარებს ყურძენს და დღეის მდგომარეობით, უკვე 49 000 ტონა ყურძენია ჩაბარებული. ყოველდღიურად დაახლოებით 4 000-დან 4 500 ტონამდე ყურძნის ჩაბარება ხდება“, - განაცხადა შალვა ფიფიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმით რთველი რამდენიმე კვირაში დასრულდება და ის წარმატებით ჩაივლის.

საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება

28 სექტემბერს ქალაქ თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩატარდება საქველმოქმედო კონცერტი სამთაწყაროსა და გამარჯვებაში ეკლესიების მშენებლობის დასახმარებლად. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ხალხური თვითმოქმედი ანსამბლები და მომღერლები. დასაწყისი 15 საათზე. მობრძანდით და მიიღეთ მონაწილეობა ტაძრების მშენებლობაში.

მაია ფანჯიკიძე დიცში განვითარებულ მოვლენებს მიზანმიმართულ პოლიტიკას უწოდებს

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დიცში განვითარებულ მოვლენებს მიზანმიმართულ პოლიტიკას უწოდებს და აცხადებს, რომ ეს პოლიტიკა 2011 წლიდან დაიწყო, - ამის შესახებ ფანჯიკიძემ ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის გადაცემა “პოზიციაში” განაცხადა.

“მე ვერ გეტყვით, რომ ეს მაინც და მაინც კარასინ-აბაშიძის შეხვედრას უკავშირდებოდეს და სწორედ იმიტომ მწავდებოდეს, რომ ეს შეხვედრები ტარდება. ეს არის რაღაც გარკვეული დინამიკა, რომელსაც შეიძლება დავაკვირდეთ და დასკვნები გამოვიტანოთ, მაგრამ ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა 2011 წლის შემდეგ და, სამწუხაროა, რომ მიუხედავად ამ დადებითი შედეგებისა, რომელიც აქვს სწორედ ამ ფორმატს, ეს არ შეცვლილა რუსეთის მხრიდან”, - აღნიშნა მინისტრმა.

მაია ფანჯიკიძის თქმით, მავთულხლართების პოლიტიკა დაიწყო 2011 წელს, როდესაც კარასინ-აბაშიძის ფორმატი საერთოდ არ არსებობდა. “აქედან გამომდინარე, ამაში ახალი არაფერია. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული პერიოდები არის, როდესაც სიტუაცია მწავდება, თუმცა არის პერიოდები, როდესაც სიტუაცია შედარებით წყნარდება. 2011 წელს დაიწყო, გრძელდებოდა სხვადასხვა ინტენსივობით და ამ ბოლო პერიოდში, შეიძლება იმიტომაც, რომ ჩვენ დიდი ყურადღება გავამახვილეთ ამაზე, განსაკუთრებით იმის გამო, რომ სწორედ კარასინ-აბაშიძის შეხვედრების დადებით დინამიკას არ პასუხობს რუსეთის ეს ქმედება ადექვატურად, შეიძლება ამიტომაც არის რომ უფრო მოექცა ყურადღების ცენტრში. თუმცა, რა საკვირველია, ყოველივე ასეთი განახლების შემდეგ, ზოლი, რომელზედაც მავთულხლართებია გაბმული, ან ის თხრილები, რომლებიც კეთდება აფხაზეთის ე.წ საოკუპაციო ზოლთან, უფრო დიდდება და ეს არის ჩვენი შეშფოთების მიზეზი”,-განაცხადა ფანჯიკიძემ.

ბიძინა ივანიშვილი - გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება, ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს

გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება, ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს, - აღნიშნული განცხადება პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სპორტის სასახლეში, “ქართული ოცნების” საპრეზიდენტო კანდიდატის პროგრამის პრეზენტაციაზე გააკეთა.

“რადგანაც ჩვენი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დავასახელე, ის მიმაჩნია სწორედ ერთადერთ კანდიდატად, რომელიც უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი. არაფერი გამოუვათ მათ, ვისაც ჭორებითა და მითქმა-მოთქმით შეცდომაში უნდათ ხალხის შეყვანა და არასწორი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგებენ მათ. ვურჩევ ყველას, თავი დაანებონ ასეთი მეთოდებით ბრძოლას და პატიოსან ბრძოლაში გაეჯიბრონ გიორგი მარგველაშვილს. გიორგი არის ღირსეული პიროვნება - თანამედროვე, განათლებული, გაწონასწორებული და წესიერი ადამიანი, სუფთა წარსულით. გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს. შარშან ოქტომბერში მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა და ხმა მისცა თავისუფლებას. დარწმუნებული ვარ, წელს ოქტომბერში კიდევ ერთხელ ერთ მუშტად შევიკვრებით, ავირჩევთ გიორგი მარგველაშვილს და ხმას მივცემთ საქართველოს წინსვლასა და სტაბილურობას. ღრმად მწამს, რომ გიორგი მარგველაშვილის გამარჯვება იქნება ჩვენი ქვეყნის საერთო გამარჯვება!”, - აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, “გიორგი მარგველაშვილი გახდება საქართველოს პრეზიდენტი და ის ყველას პრეზიდენტი იქნება”.

ხორნაბუჯის სკოლაში რუსული სექტორი დარჩა

დედოფლისწყაროში, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსული სექტორის გაუქმებასთან დაკავშირებით ვრცელი განმარტება გააკეთა დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მიხეილ ბახუტაშვილმა. მისი თქმით, დირექტორის, ლალი მენთეშაშვილის მიერ პედაგოგებისადმი გაგზავნილი წერილი არასწორად იყო ფორმულირებული, რაც აჟიოტაჟის საბაბი გახდა.

გაზეთ „შირაქი“-ს ინფორმაციით, გამაფრთხილებელი წერილი, სადაც შტატების მოსალოდნელ შემცირებაზე და სექტორის შეკვეცაზე იყო საუბარი, მხოლოდ რუსული სექტორის პედაგოგებმა მიიღეს, რის გამოც საპროტესტო აქცია გამართეს. თუმცა, რესურსცენტრის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ შემცირება შესაძლოა თანაბრად შეეხოს როგორც რუსული, ისე ქართული სექტორის პედაგოგებს, ამდენად ბახუტაშვილისთვის სრულიად გაუგებარია, რატომ გაკეთდა აქცენტი მხოლოდ რუსულენოვან პედაგოგებზე. ეს განცხადება რესურსცენტრის უფროსმა ტელეკომპანია “ობიექტივის” პირდაპირ ეთერში, “დედოფლისწყაროს საათში” სტუმრობისას გააკეთა.

მიხეილ ბახუტაშვილი: „დეფიციტური სკოლაა და ახალი სასწავლო წლიდან ნამდვილად მოსალოდნელია შემცირებები. ამ სკოლის დირექტორს უშუალოდ სამინისტროსგან უკვე მიეცა რეკომენდაცია, რომ სწორი მენეჯმენტი აწარმოოს და ხარჯები დაზოგოს. ეს უკვე თავისი გადასაწყვეტია, კლასების ჩაკვეცას მოახდენს, თუ რის საფუძველზე განახორციელებს ცვლილებებს. მთლიანად სკოლის ოპტიმიზაცია უნდა განახორციელოს, უპირველეს ყოვლისა დირექტორს ეს მოეთხოვება. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ პედაგოგებისთვის გაგზავნილ გამაფრთხილებელ წერილში არამც და არამც არ უნდა ყოფილიყო ასე ხაზგასმით ნათქვამი, რომ რუსული სექტორი ჩაიკვეცება. იმიტომ, რომ იგივე პროცესი შეიძლება შეეხოს სხვა ნებისმიერ პედაგოგს, რომელიც ქართულ სექტორზეა დასქმებული. ამ წერილის შინაარსი ბუნებრივია რესურსცენტრთან შეთანხმებული არ ყოფილა. ხმაურიც ამას მოჰყვა, ვფიქრობ, უფრო სწორი ფორმულირებით რომ დაგზავნილიყო ეს შეტყობინებები, ამხელა ხმაურს თავიდან ავიცილებდით. ჩვენი და გამგებლის აქტიურობის წყალობით თებერვლიდან ხდებოდა სამინისტროდან დამატებითი თანხების ჩარიცხვა, თუმცა სკოლას თავის სარჩენი ფული აღარ ჰქონდა, ერთ ნატეხ ცარცსაც ვეღარ შეიძენდა.

აქციის გამართვის შემდეგ, ცხადია, დავინტერესდი არსებული ვითარებით, მივმართე სკოლის დირექტორს, რომ წარმოედგინა მონაცემები, რუსულ სექტორზე რამდენი მსურველი იყო გასული წლების განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ შარშან 3 განაცხადი შევიდა, შარშანწინ კი 7 განაცხადი. მოგეხსენებათ, კლასის გასახსნელად 18 ბავშვის განაცხადია საჭირო. შესაწძლოა დირექტორმა მოსალოდნელ შემცირებაზე წერილები კანონიერად გააგზავნა, თუმცა არ შეიძლებოდა იმის დაფიქსირება, რომ რუსული სექტორი იხურება. ანუ, ზოგადად უნდა გაეფრთხილებინათ, ქართული სექტორის პედაგოგებსაც უნდა დაგზავნოდა ეს წერილები.

- ხორნაბუჯი არცთუ ისე მცირერიცხოვანი სოფელია, რატომაა ეს სკოლა დეფიციტური?

- მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლას დაანგარიშების და ხელფასის გამოყვანის განსაკუთრებული კოეფიციენტი აქვს, მაინც არ აღმოჩნდა თანხა საკმარისი. სამინისტრო, როგორც მცირე კონტინგენტიან სკოლებთან მიახლოებულს, ამ სკოლას უხდის გადასახადებს, თუმცა ეს როდემდე გაგრძელდება, არავინ იცის. ამ საპროტესტო აქციის შემდეგ, ჩემს სამუშაო კაბინეტში მეწვივნენ როგორც რუსული სექტორის პედაგოგები, ისე მოსწავლეთა მშობლები. მათ წარმოადგინეს სია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ახალი სასწავლო წლიდან ამჯერად 19 მოსწავლის განაცხადია, რომელიც რუსული სექტორის პირველ კლასში ჩარიცხვას ითხოვს. ბუნებრივია, ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენებ განათლების სამინისტროს და შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ, მაგრამ გასარკვევია, როგორ იქნება მომავალში მათი რუსულენოვანი სახელმძღვანელოებით მომარაგება. ქართველ მოსწავლეებს უფასო სახელმძღვანელოები გადაეცემათ, თუმცა არავინ იცის, რა ბედი ელით რუსული სექტორის მოსწავლეებს, როცა რუსული სახელმძღვანელოები აღარ შემოდის. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მათ ძალიან მოძველებული წიგნებით უწევთ სასწავლო პროგრამის ათვისება. პირადად მე ამ სოფლიდან ვარ, ხორნაბუჯელი ვარ და ჩემთვის წარმოუდგენელია ეს სკოლა რუსული სექტორის გარეშე,” — განაცხადა მიხეილ ბახუტაშვილმა.

შეგახსენებთ, მიმდინარე წლის 15 აგვისტოს, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსული სექტორის პედაგოგებმა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გამართეს. გაზეთ „შირაქი“ უკვე წერდა, რომ პედაგოგები დირექტორს დაუპირისპირდნენ და შეეწინააღმდეგნენ, რომ რუსულ სექტორზე სწავლის მსურველთა განაცხადები შემოდის, თუმცა სკოლა მათ ჩარიცხვას ხელოვნურად აფერხებს.

ამჯერად, რესურსცენტრის უფროსი ამბობს, რომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ რუსული სექტორის შენარჩუნება მოხდეს. მისი თქმით, ვითარება უკვე ჩაწყნარდა.

„რაიონის გამგებელთან ერთად შევთანხმდით, რომ ამ პრობლემას გადავწყვეტდით. იმედი სამინისტროსგანაც არის, რომ თანხების გადმორიცხვა მოხდება, რომელიც სკოლას აკლია. ახლა ტექპერსონალის ხელფასები იზრდება და იმედი გვაქვს, რომ ახალი სასწავლო წლიდან ხელფასების განსხვავებული კოეფიციენტით გამოითვლება. არის პერსპექტივა და იმედები, რომ სექტორის შენარჩუნება მოხდეს,“ — აღნიშნავს ბახუტაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ხუდონჰესის,, გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტროს დასკვნა გაცემული არ აქვს- ხათუნა გოგალაძე

გარემოს დაცვის მინისტრის ხათუნა გოგალაძის განცხადებით, “ხუდონჰესის” გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტროს დასკვნა გაცემული არ აქვს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას მინისტრმა აღნიშნა, სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნა დაეფუძნება ექსპერტების შეფასებებს.

“ხუდონჰესთან” დაკავშირებით არის ორი ძირითადი საკითხი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს - ერთი არის გარემოზე ზემოქმედების, მეორე კი სოციალური ასპექტები. გარემოსთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ მხოლოდ წინასწარი განხილვა არის დაწყებული; შესაბამისად, სანებართვოც არ არის შემოსული და შესაბამისად, დასკვნა ამასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტროს გაცემული არ აქვს. რაც შეეხება სოციალურ ასპექტებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი, ეს არ არის მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს გადასაწყვეტი, ამაში ჩაერთვება მთელი მთავრობა და გადაწყვეტილება მიღებული იქნება საზოგადოების აზრის გათვალისწინებით”, - აღნიშნა გოგალაძემ.

თამაზ ტყემალაძე კვესიტაძესა და პაიჭაძესთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტყემალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ეტაპზე მისი გადაწყვეტილება ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის გადაცემების დახურვასთან დაკავშირებით არ შეიცვლება, თუმცა სამომავლო თანამშრომლობაზე საუბარი შეიძლება.

“კვესიტაძე და პაიჭაძე ღრმა პროფესიონალები არიან. რაც შეეხება მათი გადაცემების დახურვას, ამის მიზეზი როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, მათი სუბიექტური პოზიციები იყო, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვებშიცაა აღნიშნული და თქვენ შეგიძლიათ, მას გაეცნოთ. ჩვენ ეს შენიშვნები გავითვალისწინეთ, თუმცა, როცა ისინი ახალ გეგმებს წარმოადგენენ და გაითვალისწინებენ შენიშვნას, შეიძლება, გავაგრძელოთ მუშაობა”, - განაცხადა ტყემალაძემ.

რაც შეეხება ახალ სატელევიზიო სეზონს, ტყემალაძის განმარტებით, მაუწყებლის ხელმძღვანელობა ბორდთან შეთანხმებით აქცენტს შედარებით დაბალბიუჯეტიან პროექტებზე გააკეთებს.

წითელი ჯვარი აქციებს განაგრძობს

13, 14 და 15 სექტემბერს ქალაქ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელობის, აგრეთვე, წითელი ჯვრის ადგილობრივი წარმომადგენლის-ნათელა თამაზაშვილის პატრონაჟით, ამ რამდენიმე თვის მანძილზე უკვე მეექვსედ, საქართველოს წითელი ჯვარი სტუმრობდა.

წითელი ჯვრის საზოგადოება -ნებაყოფილობითი, არასამთავრობო, ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში ხელისუფლების დამხმარე ორგანიზაციაა. იგი 1918 წელს დაარსდა და დამოუკიდებლად იარსება 1923 წლამდე, რის შემდეგაც საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის ნაწილი გახდა. 1991 წლიდან კი ისევ დამოუკიდებელი ორგანიზაციაა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მისიაა გაჭირვებულთა დახმარება საგანგებო სიტუაციებსა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში, როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსების გამოყენებით.

ხუთკაციანი ბრიგადა, რომელიც დედოფლისწყაროში იმყოფებოდა, საუკეთესო, გამოცდილი მედიკოსებით იყო დაკომპლექტებული. ექიმი-ექოსკოპისტი ირინა მოდებაძე, ჯგუფის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, კარდიოლოგი-ზურა თუთარაშვილი, თერაპევტ-კარდიოლოგი-მანანა გიორგობიანი, დამხმარე მედპერსონალთან ერთად სამი დღის განმავლობაში სინჯავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. აქციაში მონაწილე თითოეულ ადამიანს უტარდებოდა ყველა პარენქიული ორგანოს ულტრაბგერითი გამოკვლევა, უკეთდებოდა სისხლის ანალიზი შაქარზე, უღებდნენ კარდიოგრამას, სვამდნენ დიაგნოზს და უნიშნავდნენ მკურნალობას, საჭიროების შემთხვევაში კი, აგზავნიდნენ შესაბამის სპეციალისტებთან შემდგომი კონსულტაციებისთვის. კვლევა ჩაუტარდა მოსახლეობის დიდ ნაწილს და სათნოების სახლის თითქმის ყველა ბენეფიციარს. როგორც ბატონმა ზურამ და ქალბატონმა მანანამ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, კვლევის დროს პაციენტებს გამოუვლინდათ დაავადებები, რომელთა შესახებ ზოგიერთმა მათგანმა არ იცოდა, ზოგადი მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებელია სხვა რაიონებთან შედარებით, თუ არ ვიგულისხმებთ, რომ თითქმის ყოველ მეოთხე პაციენტს ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა აღენიშნება. სამაგიეროდ, სიმსივნური დაავადებების სიხშირე არ შეინიშნება და საერთო მდგომარეობაც ჩვენ დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია-თქვეს მათ.

მიუხედავად ახლახანს მიღებული უფასო სადაზღვევო პოლისებისა, სამი დღის განმავლობაში რიგები არ წყდებოდა გამგეობის პირველ სართულზე, წლების განმავლობაში უფასო სამედიცინო გამოკვლევებს მონატრებული ხალხი არ იღლებოდა საათობით რიგში დგომითაც კი და უზომო მადლიერებას გამოხატავდნენ.

უშანგი სულაშვილი: ძალიან კმაყოფილი ვარ, მეგონა, არ ვიყავი მთლად ჯანმრთელად, მაგრამ გულიც ძალიან კარგად მქონია და სხვა ორგანოებიც, დიდი მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას და ჩვენს პრემიერ-მინისტრს, ხალხზე ზრუნვისთვის.

ლიზიკო კოჭლამაზაშვილი: მართალია, მე შაქარი აღმომაჩნდა და არ ვიცოდი, მაგრამ სულ რომ ვერ გამეგო, ხომ უარესი იქნებოდა?ძალიან კმაყოფილი ვარ, თბილი და ყურადღებიანი ექიმები იყვნენ.

ელენე ბაიაშვილი: ყველა ადამიანს თავისი შინაგანი კულტურა უბიძგებს, წელინადში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც ჩაიტაროს სრულფასოვანი გამოკვლევა, მაგრამ ჩვენ, დიასახლისები ვცდილობთ, გავუფრთხილდეთ ოჯახის ბიუჯეტს, რაც არასწორია, მაგრამ ასეა... ეს გამოკვლევები ნამდვილად მოსწრებული იყო ყველასთვის, ძალიან კმაყოფილი ვარ, ვისურვებდით, რომ ხშირად გვქონდეს ასეთი საშუალება.

იმის გამო, რომ ექიმები გამოძახებულ იქნენ ძირითად სამსახურებში სასწრაფო ოპერაციების ჩასატარებლად, მათი ვიზიტი დაგეგმილზე ორი დღით ადრე შეწყდა, მაგრამ ისინი მომდევნო თვეებში კიდევ ეწვევიან სამუშაო ვიზიტით ჩვენს რაიონს და ვისაც სურვილი ჰქონდა და ვერ მოასწრო მათთან კვლევის ჩატარება, მიეცემა საშუალება, მიიღოს საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში, ჩაიტაროს მკურნალობა.

ელზა ხარაშვილი

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

№2 საჯარო სკოლა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა 16 სექტემბერს დაიწყო. ახალი სასწავლო წლის დაწყება იზეიმეს დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებშიც. სწავლის დაწყება მოსწავლეებსა და პედაგოგებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მიხეილ ბახუტაშვილმა და სოფლების რწმუნებულებმა მიულოცეს. დედოფლისწყაროში წელს ცხრა საჯარო სკოლას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდათ სასკოლო სახელმძღვანელოები, ხოლო პირველკლასელებს კვლავ დახვდათ მერხებზე ნოუთბუქები. მომავალ წელს მუნიციპალიტეტის 10 სკოლა კიდევ გარემონტდება.

№1 საჯარო სკოლა

ხორნაბუჯის საჯარო სკოლა

სამრეკლოს საჯარო სკოლა

დასუფთავების აქცია დედოფლისწყაროშიც ჩატარდა

„დავასუფთაოთ მსოფლიო — დავასუფთაოთ საქართველო“-ს ფარგლებში დასუფთავების აქცია დედოფლისწყაროშიც ჩატარდა. ქალაქ დედოფლისწყაროში ელიას მთის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაძვნარი დაასუფთავეს, ხოლო სოფელ მირზაანში სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

როგორც „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები“-ს დედოფლისწყაროს კოორდინატორმა ირმა რობიტაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, აქციაში უკვე მერამდენე წელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც მონაწილეობს.

აქციას ელიას მთაზე დედოფლისწყაროს გამგეობის თანამშრომლებიც შეუერთდნენ. მასში მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებსა და თანამშრომლებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ორგანიზატორების განმარტებით, „დავასუფთაოთ საქართველო — საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი — „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები/საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (შიდა) ფინანსური უზრუნველყოფით და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხარდაჭერით.

თუ გაგივლიათ ელიისაკენ...

დიდი პოეტის მშვენიერი ლექსის სტრიქონების პატარა გადასხვაფერება მინდა გამოვიყენო იმის საჩვენებლად და საილუსტრაციოდ, თუ რა მდგომარეობაა წმინდა ელიის მიმდებარე მიდამოებში. კერძოდ, მხედველობაში მაქვს წლევანდელი ელიაობის დღესასწაულის შემდგომი პერიოდი.

მართალია, არც სხვა დღეებში ვაკლებთ ჩვენს შემოგარენებს „მზრუნველობას“, ყოველთვის ნახავს კაცი „თვალისა და გულის დამატკბობელ“ სურათ-სანახაობებს, მაგრამ წლევანდელი ელიაობის მეორე დღეს რაც იქ, ხელოვნურად გაშენებულ ნაძვნარ ტყეში ვნახე, საღად მოაზროვნე ადამიანს აფიქრებინებს, ამის ჩამდენ-გამკეთებლები ღვთის რწმენისა და ადამიანურობისაგან ძალიან შორს უნდა იყვნენო.

ნაძვნარში რამდენიმე ადგილას საქეიფო-სალხინოდ მაგიდები არის გაკეთებული. სწორედ ამ მაგიდების ირგვლივ უხვად იყო მიმობნეული, მიყრილ-მოყრილი, პოლიეთილენის პარკებში ჩაყრილი ცხვრის თავ-ფეხ-ტყავი, ქათმის ბუმბული, სურსათის ნარჩენები, გაზეთი-ქაღალდის ნაგლეჯები და ვინ იცის, კიდევ რა - არა. ამის მნახველმა უნებურად გავიფიქრე, ნუთუ ესაა ჩვენი ქართველობა, ბუნების სიყვარული-პატივისცემა, ღვთის რწმენა, ადამიანობა-მეთქი. ნუთუ ადამიანს იმის შესახებ უნდა სჭირდებოდეს შეხსენება, რომ სამშობლო, ბუნება... მხოლოდ ლამაზი, მაღალფარდოვანი სიტყვა-სადღეგრძელოებით არ გამოიხატება, რომ თითოეულმა მოქალაქემ არა მარტო თავის ეზო-ყურეს უნდა მოუაროს, არამედ თავის წილ სამშობლოს მიწა-წყალს, პატივი უნდა სცეს მამა-პაპურ კარგ თვისებებს, ზნე- ჩვეულებებს.

ჯუმბერ უთრუთაშვილი

სერიოზული ქვეყნების სასაცილო კანონები

თავისი მრავალწლოვანი საკონსტიტუციო გამოცდილების მქონე ბევრ ქვეყანაში არსებობს ზოგიერთი უცნაური კანონები. აი, რამდენიმე მაგალითი:

ავსტრალიაში:

აკრძალულია ქუჩაში გასვლა შავი ტანსაცმლით, ვოილოკიანი ფეხსაცმლით და შავი ვაქსით სახეზე , რადგან ეს არის ბინების მძარცველი ქურდის ტანსაცმელი.

აკრძალულია ბეტმენის კოსტუმის ჩაცმა.

დიდ ბრიტანეთში:

აკრძალულია ქვეყნის პარლამენტის შენობაში გარდაცვალება

სანაპიროზე ნაპოვნი მკვდარი ვეშაპის თავი ეკუთვნის მეფეს, კუდი - დედოფალს.

სინგაპური:

აკრძალულია ბიბლიის სადმე წაღება და საუბარი იესოზე

გარემოს დაბინძურება ითვლება სერიოზულ დანაშაულად, რისთვისაც არსებობს: ჯარიმა რამდენიმე ათასი დოლარის ოდენობით, საზოგადოებრივი სამუშაო ნაგვის შესაგროვებლად, ფსიქოლოგის კონსულტაცია. დამრღვევის ფოტოგრაფიას უჩვენებენ ადგილობრივ „მოამბეში“.

აშშ:

იმპოტენცია გაყრის საფუძველია 24 შტატში

ილინოისის შტატში აკრძალულია ინგლისურად ლაპარაკი, შეიძლება მხოლოდ ამერიკულად

ოჰაიოში ქალს ეკრძალება გაშიშვლება მამაკაცის გამოსახულების წინაშე

ინდიანაში 1950-იან წლებში იკრძალებოდა რობინ ჰუდის ხსენება, რადგან მდიდრებისთვის ფულის წართმევა და ღარიბებისთვის დარიგება ითვლებოდა კომუნისტური იდეოლოგიის გამოვლინებად.

ოკლაჰომაში იკრძალება კვირაობით ცოლების კოცნა

ტენესიში ქალებს ეკრძალებათ ლაკირებული ფეხსაცმლის ტარება, რადგან მათში აირეკლება ქვედა საცვალი

ნიუ-მექსიკოში კატებს ეკრძალებათ ღამე სიარული, თუ მათ არა აქვთ უკანა სასიგნალო განათება.

ტაილანდში:

საღეჭი რეზინის დაგდება ტროტუარზე - ჯარიმა 600 დოლარი

აკრძალულია სახლიდან გამოსვლა ქვედა საცვლის გარეშე

სამეფო ჰიმნის შესრულების დროს კინოთეატრში ყველა მაყურებელი ფეხზე უნდა წამოდგეს

ფინეთი:

აკრძალულია იხვის ჭუკი დონალდი, რადგან შარვალი არ აცვია

საფრანგეთი:

არ შეიძლება ღორისთვის ნაპოლეონის დაძახება

დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე რადიოში გადმოცემული მუსიკა უნდა ეკუთვნოდეს ფრანგ კომპოზიტორებს

აკრძალულია ისეთი თოჯინების გაყიდვა, რომელთა სახეც არ არის ადამიანისა.

პრემიერის უჩვეულო გულშემატკივარი

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში ბიძინა ივანიშვილის ფანკლუბი მოქმედებს. პრემიერ-მინისტრის ფოტოები ჯვართან და ხატებთან ერთად, საგანგებოდ მოწყობილ კედელზეა განთავსებული. კოალიცია „ქართული ოცნების“ ატრიბუტიკას და ივანიშვილის ფოტოსურათებს ამ სოფელში გონაშვილების საცხოვრებელი სახლის ეზო მთლიანად ეთმობა.

მასპინძელი ამბობს, რომ სპეციალურად მოწყობილ კუთხეში ხშირად ლოცულობს და უფალს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ავედრებს. გაზეთ „შირაქის“ არბოშიკში სტუმრობის მიზეზიც სწორედ ეს უჩვეულო ფაქტი გახდა.

ოჯახის უფროსი, პრემიერის სეხნიაა. 57 წლის ბიძინა (კობა) გონაშვილი ივანიშვილს დედოფლისწყაროში ეპატიჟება, მისი ეზოს მონახულებასა და გულთბილ მასპინძლობას სთავაზობს.

„უფალი ფარავდეს ბატონ ბიძინას და მთლიანად საქართველოს. ოჯახთან და მთლიან საქართველოსთან ერთად გაუმარჯოს ბატონ ბიძინას. ბრძოლა კიდევ გრძელდება, ბევრი რამაა ბოლომდე მისაყვანი. პრემიერმინისტრს ვეპატიჟები დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში, ბიძინა გონაშვილის ოჯახში. მეგობრებთან და ოჯახთან ერთად ვეპატიჟები. ძალიან მინდა, ჩამოვიდეს და საკუთარი თვალით ნახოს. არ გეგონოთ, რომ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ მოვაწყვე ეს ყველაფერი. თელავში გამართული შეხვედრის შემდეგ გავაკეთე ეს ყველაფერი. მინდოდა, რომ დიდი მხარდამჭერი ჰყოლოდა და ეს იდეა გამიჩნდა. გაუმარჯოს ბატონ ბიძინას და დიდება ჩვენს პატრიარქს (ყანწით ხელში გამოთქვამს). მის თანამებრძოლებთან ერთად გაუმარჯოს," - აღნიშნავს პრემიერის უჩვეულო გულშემატკივარი.

მასპინძლის განწყობის აღსაქმელად ეზოში შესვლაც არ არის საჭირო. გზიდანაც ჩანს, რომ მისი ეზო-ყურე სავსეა სააგიტაციო მასალებითა თუ პარტიული დროშებით, ისინი ჭიშკარზეც მრავლადაა განთავსებული. გონაშვილების ეზოს „ავლადიდება“ გამვლელთათვის ღამითაც თვალშისაცემი რომ იყოს, ეზოს მთელს პერიმეტრზე მასპინძელს შესაბამისი განათებები დაუმონტაჟებია. ყველაფერი იმდენად საგულდაგულოდაა მოწყობილი, მისი ნებისყოფის გულწრფელად მშურს.

ბიძინა (კობა) გონაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ ეს ყველაფერი უანგაროდ გააკეთა და პირადი ინტერესი არ ჰქონია. მიიჩნევს, რომ ივანიშვილი ამგვარ თანადგომას უდაოდ იმსახურებდა. ირწმუნება, რომ სხვების მსგავსად თანამდებობის მისაღებად არ უწვალია და ამით მხოლოდ მისი შინაგანი განწყობა გამოხატა. ამბობს, რომ სხვაგვარად არ შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის უფროსი ამ დრომდე დაუსაქმებელია და ფინანსურ პრობლემებზე საუბრობს, ენთუზიაზმს არ კარგავს.

„საკუთარი სახლიც არ მაქვს და ქართველი კაცი სხვა ეროვნების ადამიანებს ვუხდი ბინის ქირას. გაუმართლებელი და გულსატკენია, რომ ჩემს ქვეყანაში ასე ხდებოდეს. თუმცა, ეს არ მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ახალი ხელისუფლება არ მომწონდეს. დაუღალავი მხარდამჭერი ვარ. სხვათაშორის, ამასწინათ, ჩვენს სოფელში შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მამა, ბატონი ტარიელი იყო ჩამოსული. შემთხვევით გავიარე და შევნიშნე. ვთხოვე, საინტერესო რაღაც უნდა განახოთ-მეთქი და ჩემს ეზოში მოვიწვიე. გამიხარდა, რომ დამთანხმდნენ და დაათვალიერეს ჩემი ეზო. ძალიან მოეწონათ.

ლოცვების გარდა, ამ უჩვეულო ეზოში ტრადიციული კახური სუფრაც ხშირად იშლება და ივანიშვილის ფანკლუბის წევრები პრემიერის სადღეგრძელოსაც განსხვავებული სასმისით სვამენ. აქვეა გამოფენილი ყანწები და სხვადასხვა განსხვავებული სასმისები.

„ბოლომდე მივყვები ბატონ ბიძინას. უკან არ დავიხევ, თუ გადავარდება - გადავყვები!“.. - აცხადებს გონაშვილი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ამ უჩვეულო ფანკლუბს არც სტუმრები აკლია. არბოშიკელი ბიძინა გონაშვილი ამბობს, რომ მის ეზოში დამთვალიერებელი ხშირად დადის. კარმიდამოს საგანგებოდ გაფორმების იდეა კი ოჯახის უფროსს საპარლამენტო არჩევნებამდე გაუჩნდა და პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩანაფიქრის განხორციელება მოახერხა. ერთი ოცნება უკვე აისრულა, "ნაციონალური მოძრაობა" დამარცხდა - კიდევ ერთ ოცნებად კი ბიძინა ივანიშვილის მის ოჯახში სტუმრობა რჩება და იმედი აქვს, რომ მასაც აისრულებს.

ილია მარტყოფლიშვილი

ევროკავშირი ხელს უწყობს კახეთის თანამშრომლობას პოტენციურ პარტნიორებთან

რამდენიმე დღის წინ გაზეთი „შირაქი“ქალაქ თელავში მედია-კაფისა და გაზეთ „კახეთის ხმის“ ოფისში გახლდათ მიწვეული. სადაც ევროკავშირის წარმომადგენლების ინიციატივით გაიმართა ბრიფინგი. შეხვედრის მთავარი მიზეზი გახლდათ კახეთის მოქმედი მედიის წარმომადგენლებისთვის აღმოსავლეთ ქვეყნების პარტნიორობისა და ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა გაეცნოთ.

მედია-ბრიფინგზე წარმოდგენილი იყო პროგრამის საერთო მონახაზი, მიზნები, ამოცანები, განიხილეს თუ ვის შეუძლია ამ პროგრამაში ჩართვა და ის პრივილეგიები, რომლებსაც კახეთის რეგიონის ორგანიზაციები და ინსტიტუტები აღნიშნულ პროგრამაში მონაწილობით მიიღებენ. პროექტი 2012 წლის დეკემბერში ევროკავშირის მიერ იქნა ინიციირებული, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საზღვრიპირა თანამშრომლობის პროგრამას და მისი მიზანია აზერბაიჯანი-საქართველოს, სომხეთ-საქართველოს, ბელორუსია-უკრაინის, მოლდოვა-უკრაინის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, აგრეთვე ამ ქვეყნების საზღვრისპირა რეგიონების სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალის გამყარება, ერთობლივი საზღვრიპირა პროექტების შემუშავება-განხორციელების მიზნით. ევროკავშირმა აღნიშნული პროგრამების განსაცორციელებლად 12,5 მილიონი ევრო გამოყო. ეს არის ევროკავშირის ინიციატივა, რომელიც მიმართულია ევროკავშირსა და მისი აღმოსავლეთ მეზობლებს შორის ურთიერთობების განმტკიცებაზე, პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრამავებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გზით. აღმოსავლეთ პარტნიორობა მოიცავს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს: აზერბაიჯანს, სომხეთს, ბელორუსიას, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას. აღმოსავლეთ პარტნიორობა დასამაბს იღებს 2009 წლის 7 მაისის პრაღის სამიტიდან, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები, ევროკომისიის ინსტიტუტები და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები. კახეთის რეგიონის სახელმწიფო და არაკომერიულ ორგანიზაციებს ეძლევათ საშუალება, მიიღონ მონაწილეობა საქართველო—აზერბაიჯანის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამაში და მიიღონ გრანტები ევროკავშირიდან, საზღვრისპირა პროექტების განსახორციელებლად. ეს პროექტები მიმართული უნდა იყოს საერთო პრობლემების გადაჭრისაკენ და უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებას. ევროკავშირი აღმოსავლეთის ქვეყნებს აძლევს შანსს მიიღონ თანხები, ხოლო თავის მხრივ მისი მოთხოვნაა დამკვიდრდეს ამ ქვეყნებს შორის მშვიდობა და არ წარმოიშვას ერთაშორისი კონფლიქტები. მათი სურვილია, ამ ქვეყნების მოსახლეობას შორის შედგეს პირადი კონტაქტები, კულტურულ-ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის , დასაქმების ან გარემოსდაცვითი კუთხით. ევროკავშირი მოგვიწოდებს რომ, თუ მეზობლები ხშირად ივლიან ერთმანეთთან, იქნება თანამშრომლობა და მშვიდობა, მაშინ ის პრობლემებიც დაძლეული იქნება, რაც აქამდე აღმოსავლეთის სასაზღვრო ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდათ!

ბრიფინგს ესწრებოდა ლაგოდეხის, თელავის, გურჯაანის და დედოფლისწყაროს რეგიონული მედიის წარმომადგენლები, რომლებსაც შეეძლოთ დაესვათ კითხვები პროექტთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროსთვის პროექტში ჩართვა იმდენად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები გახლდათ, რამდენადაც ჩვენი რაიონი აზერბაიჯანის მოსაზღვრე რაიონია, აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია გამოვნახოთ საერთო პრობლემა, რომელის მოგვარების სურვილიც ჩვენ ორ მხარეს შორის ერთობლივად არსებობს, დასაშვებია, ეკონომიკური თვალსაზით, სოფლის მეურნეობის ან ეკოლოგიური კუთხით მუშაობაც, (მოგვეხსენება ალაზანი გვყოფს ამ ორ ქვეყანას და ამ კუთხითაც დასაშვებია პროექტის წარდგენა) უნდა გაკეთდეს ჩვენ ორ ქვეყანას შორის საერთო სტრატეგიული პროექტი, რომელიც ორ ქვეყანას შორის დამეგობრაბას და ურთიერთობების დაათბობას მოემსახურება და რაც თავისთავად პირდაპირპროპორციული იქნება ქვეყნებს შორის არსებული პრობლემების და მწვავე დაპირისპირებების თავიდან ასაცილებლად. პროექტის მონახაზის წარდგენის ვადაა 2013 წლის დეკემბერი, ხოლო მისი სრული ვერსიის წარდგენა დამტკიცება 2014 წლის ივლისშია შესაძლებელი. იგი არის გრძელვადიანი პროექტი და 2016 წელს მიიღებს დასრულებულ სახეს. მონონებული პროექტი ევროკავშირის მიერ 250 ათასი ევროთი იქნება დაფინანსებული. ვფიქრობთ, რომ გაზეთი „შირაქი“ საუკეთესო დროს საუკეთესო ადგილას მოხვდა, რათა რაიონისთვის ესოდენ საინტერესო ინფორმცია წამოეღო და გაეცნო ჩვენი საზოგადოებისთვის. არ იქნება ურიგო, თუ დედოფლისწყაროელებიც ჩავერთვებით ამ პროექტში, გვაქნება დაინტერესდება და ისეთი იდეები, რომელიც ზემოხსენებულ პროექტის განხორციელების და აქედან გამომდინარე ჩვენს რაიონში თანხების მოზიდვს შესაძლებლობას მოგვცემს. არ აქვს მნიშვნელობა ვინ გააკეთებს ამას, მთავარია, რომ რაიონში ერთი პრობლემით ნაკლები გვექნება, რაც უპირველესად ჩვენს ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ ქალბატონ, ტატიანა დერევიანკინას, პროგრამის ექსპერტს, ტელეფონზე: (044) 332-66-08 ან მისწეროთ ელ. ფოსტის მისამართზე: tatiana.derevyankina@eaptc.eu

ლალი მეხრიშვილი

პრესტიჟული დარგები არ არსებობს

ორმოცდახუთი წლის იყო მზია ჯეთერიშვილი-ზედგინიძე, მესამე შვილი რომ გააჩინა. – მის მეუღლეს - ვასიკო ჯეთერიშვილს, ერცხვინებოდა კიდეც, რაღა დროს ჩვენი ბავშვიაო, მაგრამ, მზია მამამთილს იყო შეპირებული, ბიჭს გავაჩენ და თქვენს სახელს დავარქმევო და, არც გაუმტყუნდა. მართალია, პაპა ამ დღეს ვეღარ მოესწრო, მაგრამ რძალმა დანაპირები აუსრულა. ასე მოევლინა ქვეყანას საკმაოდ უფროსი და -ძმის შემდეგ თორნიკე ჯეთერიშვილი. ეს იყო 1995 წლის 1 იანვარს. თოვლის პაპამ მომიყვანაო,- იცინის თავად და ეს თოვლის პაპის ნაჩუქარი ბიჭი დღეს ერთ კარგ ქართველ ჭაბუკად ითვლება ჩვენს რაიონში.

მზია ზედგინიძე წარმოშობით ასპინძიდანაა. ახლობლების მეშვეობით გაიცნო წითელწყაროელი ვასიკო ჯეთერიშვილი, მოეწონა და ოჯახიც შეიქმნა.

- როცა პირველად შირაქის ველი ვნახე, გავოგნდი, მისმა სივრცემ და ბარაქამ გამაოცა, აქ არასოდეს გაგვიჭირდებამეთქი, ვიფიქრე და ასეც იყო. ჯერ ერთი დედამთილ-მამამთილის მონაგარი დაგვხვდა-დიდი, ორსართულიანი ლამაზი სახლი, გაწყობილი ეზო-კარი. ოჯახის უფროსებს შრომაში ჩვენც ამოვუდექით გვერდში და.. სიმდიდრე არც მინატრია, წელგამართული და დოვლათით სავსე ოჯახი კი მუდამ გვქონდა. 19 წლის შემოვედი ამ ოჯახში, მამით ობოლი ვიყავ და ჩემი მამამთილისაგან ვიგრძენ მამობრივი თანადგომა და იმედი. ჩემი დედამთილი ლუბა ჯეთერიშვილი დღესაც ჩვენი ოჯახის დედაბოძად ითვლება, ამაგიანი ქალია შვილებზეც და შვილიშვილებზეც. როცა უფროსმა შვილიშვილებმა თეიმურაზმა და ლალიმ უმაღლესში ჩააბარეს, ის თან გაჰყვა მათ, თან პატრონობდა, თან წვრილმანებით ვაჭრობდა-წინდებს, მზესუმზირას, ზეთს ჰყიდიდა და ბავშვებს არაფერს აკლებდა – გვიყვება თვისი ცხოვრების ამბებს ქალბატონი მზია. მზიამ ჯერ პოლიკლინიკაში ბავშვთა რეგისტრატორად დაიწყო მუშაობა, იქიდან დაცვის პოლიციაში კადრების ხელმძღვანელად გავიდა, ახლა შს სამმართველოში ტექნიკურ მუშაკად მუშაობს და მიაჩნია, რომ არანაირი პატიოსანი შრომა სათაკილო არ არის. ორი შვილი დაოჯახებული ჰყავს. თეიმურაზმა ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, რუსთავში ცხოვრობს და სამი შვილი ჰყავს: ვასიკო, მარი და ანა. ლალიც რუსთავში დაბინავდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. მასაც სამი შვილი ჰყავს: ლუკა, ეკატერინე და თამარი. ასე რომ, მზია ექვსი შვილიშვილის ბებიაა და გული სწყდება, რომ მისმა მეუღლემ ადრეულ ასაკში, 58 წლისამ დატოვა ეს ქვეყანა და ბევრი სიხარული დააკლდა. – უფროსებს რა უჭირთ, სწორ გზაზე დგანან, თორნიკეს დარდი მიმყვება, რომ ვერ ვუპატრონეო, – ამბობდა ავადმყოფობისაგან სარეცელს მიჯაჭული.

ახალგაზრდა მამის გარდაცვალებამ თორნიკე ნაადრევად დაავაჟკაცა. მართალია, ძმაც მზრუნველობდა ოჯახს, მაგრამ ის ფიზიკურად შორს იყო და ოჯახის კაცის როლი თორნიკემ მოირგო. მეცხრე კლასამდე ხორნაბუჯის რუსულ-ქართული საჯარო სკოლის რუსულ სექტორზე სწავლობდა, მეცხრე კლასიდან ქ.დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში გადმოვიდა. სწავლა არასდროს უჭირდა, მუდამ კარგ მოსწავლედ ითვლებოდა. გამორჩეულად უყვარდათ პედაგოგებს, რადგან თორნიკე სწავლასთან ერთად ოჯახსაც უძღვებოდა, ცალუღლად დარჩენილ დედას ვაჟკაცურად ედგა მხარში და არანაირ შრომას არ თაკილობდა: ხნავდა, თესავდა, თოხნიდა, მოსავალს იღებდა, ფქვავდა, არასდროს შესცივნია მის ამაგიან, მოხუც ბებიას, რომელსაც მზე და მთვარე ამოსდის თორნიკეზე და ვაჟკაცი შვილის დამკარგავ, მუდამ თვალცრემლიან დედას სიცოცხლე მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ შვილიშვილს რაიმე არგოს: თბილი წინდები მოუქსოვოს, პენსიიდან გადანახული „ორიოდ კაპიკი“ უწილადოს..

სწავლასთან ერთად თორნიკე სპორტით და მუსიკითაა გატაცებული. წელიწადნახევარი ვარჯიშობდა მიხეილ სეხნიაშვილის საბძოლო ხელოვნების ფედერაციის დარბაზში და სერიოზული წარმატებებიც ჰქონდა: იყო საქართველოს ჩემპიონი. რეგიონული და კახეთის ზონის ჩემპიონი. მისი ნამღერის მოსმენა ხომ ერთ რამედ ღირს. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე თორნიკემ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედების მიმოხილვა და გოდერძი ჩოხელის „საქორწინო მტრედის“ რუსული თარგმანი გააგზავნა და პირველი ხარისის დიპლომებიც დაიმსახურა. ასე რომ, თორნიკე ჯეთერიშვილი №2 საჯარო სკოლის ერთ-ერთი წარჩინებული კურსდამთავრებულია. დღეს კი უკვე ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია და 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსების გრანტის მფლობელი. 23 სექტემბერს თორნიკე უმაღლესი სასწავლებლის კარს შეაღებს. სწავლის პარალელურად ის სავალდებულო სამხედრო სამსხურს გაივლის დაცვის პოლიციაში. 20 სექტემბერს მან უკვე სამხედრო ფორმა მოირგო და სამშობლოს სამსხურში ჩადგა.

როცა ვკითხე, ეს დარგი რატომ აირჩია, უფრო პრესტიჟული პროფესიებიც ხომ არსებობს მეთქი, მიპასუხა: პრესტიჟული პროფესია არ არსებობს, მთავარია, შენი საქმის კარგი სპეციალისტი დადგე, ისწავლო საფუძვლიანად, შეიყვარო ის, რადგან შენი ცხოვრების გასაღები სწორედ კარგ პროფესიონალიზმშიაო. ჭეშმარიტებაა. თორნიკეს სწამს, რომ მონდომებასთან ერთად ღმერთმაც უნდა შეგიწყოს ხელი, იცის, რომ ღმერთს ის უყვარს, ვისი ცხოვრების არსი და ამოსავალი წერტილიც უფლის 10 მცნებაა და თავადაც ამ პრინციპით ცხოვრობს.

ვესაუბრებით თორნიკეს კლასის ხელმძღვანელს ქალბატონ ლალი პოპიაშვილს– წელს გამორჩეულად კარგი კლასი გამოვუშვით. გვყავდა ერთი ოქროს მედალოსანი ლიკა ტოკლიკიშვილი, სამი ვერცხლის მედლის მფლობელი: მარი შანშიაშვილი, ანა და თამაზ ყოჩიაშვილები და ბევრი წარმატებული მოსწავლე. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული თორნიკე ჯეთირიშვილია. ის მეცხრე კლასიდან შემოუერთდა ამ კლასს, მაგრამ არ გასჭირვებია, რადგან ძალიან კომუნიკაბელური ბავშვია. მეგობრებიც მალე გაიჩინა. ყველას სიყვარული დაიმახურა მასწავლებლებთანაც და მოსწავლეებთანაც. ის შრომისმოყვარე, გაწონასწორებული, ზრდილი, მოწესრიგებული, უკვე ზრდასრული ადამიანია, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება. ამიტომ შევარქვით „დედის იმედი“. მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო საქმეებით საკმაოდ დატვირთული იყო, მოწყენილს ვერ ნახავდით, ხალისიანი და იუმორით სავსე იყო მუდამ, მის გარეშე აერც ერთი ღონისძიება არ ჩატარებულა სკოლაში. მასთან ერთად სუფრაზე ჯდომა ხომ ძალიან სასიამოვნოა. ის ერთ-ერთი წამყვანი იყო ბოლო ზარის ზეიმზე და თავი დაამახსოვრა ყველას. ერთი სიტყვით, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ თორნიკე დადებითად დავახასიათოთ, მან 100%-იანი დაფინანსება სრულიად დამსახურებულად მოიპოვა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ეს წარმატება მივულოცო მას, ვუსურვო დიდი მიზნების განხორციელება. მის მსგავსად 100% -იანი დაფინანსება მოიპოვეს მისმა კლასელებმა მარი შანშიაშვილმა და მარიამ ბერიძემ. მათთან ერთად ყვლა ჩვენს კურსდამთავრებულს ვულოცავ სტუდენტობას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ, - გვითხრა ქალბატონმა ლალიმ. ჩვენც ვუერთდებით და თორნიკესთან ერთად ყველა სტუდენტს ვუსურვებთ მრავალ ბედნიერ დღეს და წარმატებებს ცხოვრების დიდ გზაზე.

დღეს კი თორნიკე ჯეთერიშვილი ამაყად მივა მამის საფლავზე და ეტყვის, რომ მისი ოცნებები აასრულა და არც მომავალში შეარცხვენს მის სახელს.

ნაირა გორაშვილი.

ახალი სასწავლო წელი სკოლა „ბენაურშიც“ დაიწყო

უკვე ათ წელზე მეტია, სკოლა „ბენაური“ (დირექტორი ცაცა ბენაშვილი) არ ღალატობს თავის პრინციპებს და მიუხედავად მათ წინაშე არსებული უამრავი პრობლემისა, კვლავ ჩვეული შემართებით აგრძელებს სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობას. ისე, როგორც რაიონის სხვა სკოლებში, აქაც დაირეკა სკოლის ზარი და საზეიმოდ აღნიშნეს სწავლის დაწყება. წელს სკოლა „ბენაურს“ ექვსი პირველკლასელი მოსწავლე ჰყავს, რაც მცირე კონტიგენტიანი სკოლისთვის კარგი შედეგია. მშობლებს, რომლებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მათმა შვილებმა ხარისხიანი ცოდნა მიიღონ, ესმით, რომ სწორედ ამ სკოლაში ბევრად უკეთესია სწავლა, რადგან კლასში მცირე ბავშვების ყოფნა ხელს უწყობს პედაგოგს თითოეული მოსწავლის ცოდანა ყოველდღიურად გამოიკითხოს და ასევე მოსწავლისთვის გასაგები იყოს პედაგოგის მიერ მიწვდილი მასალა. გასულ სასწავლო წელს სკოლა „ბენაურს“ნაყოფიერი სასწავლო წელი ჰქონდა. სკოლის მოსწავლეებმა საინტერესო პროექტში მიიღეს მონაწილეობა, სადაც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. აღნიშნული პროექტის შესახებ „ბენაურის“ სკოლის მოსწავლე მაგდა ბენაშვილი გვესაუბრა, - „უსიდ-ის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სკოლაში შეიქმნა ეკო-კლუბები, ჩვენც მივიღეთ მიწვევა. სამოტივაციო წერილის საფუძველზე შეიქმნა კლუბები და სამრეკლოს საჯარო სკოლაში ჩაგვიტარდა სამდღიანი ტრენინგები. ტრენინგებზე შეგვასწავლეს პროექტების წერა. უკან ისეთი შემართებით დავბრუნდით, რომ ორ კვირაში შევადგინეთ და გავაგზავნეთ პროექტი. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ინიციატივა მოიწონეს და საგრანტო პროექტებში მოხვდა. ამას მოჰყვა აპრილში მეორე ტრენინგები, რომელიც შეეხებოდა ბუნებრივ კატაკრიზმებს და რესურსების ინტეგრირებული გამოყენების საკითხებს. 22 აპრილს კი, დედამიწის დღესთან დაკავშირებით ვაშლოვანის ეროვნულ ნაკრძალში გამართულ სამდღიან ტრენინგებზეც მოვხვდით. ჩაგვიტარდა სამეცნიერო მუშაობა, პროექტის ოპერატორმა ნინო ლაღიძემ გვითხრა, რომ თუ ვიაქტიურებდით, საზაფხულო ბანაკებში წაგვიყვანდა, ჩვენი სკოლიდან ორი ბავშვი შეგვარჩიეს, მე და მოსწავლე დავით ოზაშვილი, მე ჯუთაში ვიყავი ერთი კვირით, ძირითადად ვახდენდით კლიმატზე დაკვირვებას. დავითი კი, თუშეთის ბანაკში მოხვდა, დათო ეკოტრენერი გახდა, მას სათბური და მიკროსკოპი გადასცეს საჩუქრად. გარდა ამისა დიდი გეგმები გვაქვს პროექტის განსახორციელებლად ვგეგმავთ პატარ-პატარა აქტივობებს და ღონისძიებებს, მოკლედ, ბევრი იდეა გვაქვს. ვფიქრობთ ეს ღონისძიებები ჩვენს სასწავლო წელს ბევრად გაალამაზებს და საინტერესოს გახდის!“ - ამბობს „შირაქთან“ საუბარში მაგდა ბენაშვილი.

წარმატებულ სასწავლო წელს ვუსურვებთ როგორც სკოლა „ბენაურს“, ისე რაიონის ყველა სკოლას, მოსწავლეებს და პედაგოგებს.

ლალი მეხრიშვილი

მიქაელ მთავარანგელოზის სასწაული

19 სექტემბერს აღინიშნება ხსენება საკვირველებისა, რომელიც მთავარანგელოზი მიქაელის მიერ აღსრულდა ხონაში.

ფრიგიაში, ქალაქ იერაპოლთან, ჰეროტოპად (სიხარულის ადგილი) წოდებულ ადგილას აღმართული იყო მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი, რომლის სიახლოვესაც მაკურნებელი წყარო ამოდიოდა. ერთხელ მთავარანგელოზი მიქაელი ძილში გამოეცხადა ერთ-ერთი ყრუ-მუნჯი ასულის მშობლებს და ამცნო, რომ მათი შვილი განიკურნებოდა, თუ ამ წყაროს წყალს დაალევინებდნენ. მართლაც, წყლის პირას გოგონა განიკურნა. ამის შემდეგ წყაროსთან მრავლად მიდიოდნენ სხვადასხვა სნეულებებით შეპყრობილები. მრავალი კერპთმსახური დარწმუნდა ქრისტეს ძლევამოსილებაში და მოინათლა.

მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარში სამოცი წლის მანძილზე მსახურობდა მნათედ კეთილმსახური კაცი, სახელად არქიპო. მადლმოსილი სიტყვითა და ღვთივსათნო ცხოვრებით მან მრავალი უღმრთო მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. ღვთის ამ ერთგულ მონაზე გამძვინვარებულმა წარმართებმა გადაწყვიტეს, დაენგრიათ ტაძარი და არქიპოც მოეკლათ. მათ მთის ორი დიდი მდინარე ერთ კალაპოტში გააერთიანეს და მათი დინება ტაძრისკენ მიმართეს. წმიდა არქიპომ მხურვალედ შესთხოვა მთავარანგელოზ მიქაელს განსაცდელის არიდება. მისი ლოცვის პასუხად ზეციური მხედრობის წინამძღოლმა კვერთხის დარტყმით გააპო კლდე და აბობოქრებულ მდინარეს ღრმულისაკენ შეუცვალა მიმართულება. ამგვარად, ტაძარი უვნებელი დარჩა. ამ სასწაულის მხილველი წარმართები შეძრწუნებულნი დაიფანტნენ, წმიდა არქიპო და ტაძართან შემოკრებილი ქრისტიანები კი ადიდებდნენ უფალს და მადლობას სწირავდნენ მთავარანგელოზ მიქაელს. ადგილი, სადაც ეს სასწაული აღსრულდა, იწოდა „ხონად“, რაც „ღრმულს“ ნიშნავს.

ღირსი არქიპო ქალაქ იერაპოლში მცხოვრები კეთილმსახური ქრისტიანების შვილი იყო. იგი ათი წლისა მივიდა ხონაში, წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძრის მოსალოცად, იქვე დარჩა და სიკვდილამდე მნათეს მოვალეობებს ასრულებდა. ნეტარი მამა მკაცრი, ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა და მარხვასა და ლოცვაში ატარებდა დღეებს. მან მრავალი წარმართი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. ამით გააფთრებულ კერპთმსახურებს ქურუმების მეთაურობით არაერთხელ უცდიათ წმიდა არქიპოს მოკვლა, მაგრამ უფალი იცავდა თავის რჩეულს. ბოლოს წარმართებმა გადაწყვიტეს, ჩაეძირათ ის ადგილი, სადაც ტაძარი იყო აღმართული და საძულველი მნათეც დაეღუპათ. წმიდა არქიპო, ხედავდა რა მზადებას ამ უსჯულოებისთვის, არ განეშორებოდა უფლის სახლს და მხურვალედ ლოცულობდა უბედურების თავიდან ასაცილებლად. ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და ნეტარი მამა გახადა მოწამე მთავარანგელოზ მიქაელის მიერ აქ აღსრულებული დიდი საკვირველებისა. სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა არქიპომ ღრმა მოხუცებულობაში, სამოცდაათი წლის ასაკში შეჰვედრა სული უფალს. ქრისტიანებმა ღირსი მამის წმიდა ნეშტი ხონაში, მისი მოღვაწეობის ადგილას მიაბარეს მიწას.



გამოსათხოვარი

ამირან ბილიაშვილი



მეგონა, ასი წლის იუბილეს მოგილოცავდით, ისეთი მხნე, ენერგიით და ჭკუა-გონებით სავსე იყავ. ოთხმოცს გადააბიჯე, მაგრამ შენს სიკვდილს ვერავინ წარმოვიდგენდით, მით უმეტეს ასეთს-გზათაუკან, ბალიშზე თავდაუდებელს, რადგან უაღრესად მოწესრიგებულს და წინდახედულს მუხთალი ბედი ასეთ აღსასრულს თუ გიმზადებდა, ვინ იფიქრებდა . სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს გახშირდა ასეთი უეცარი სიკვდილი.

ცხოვრების დიდი გზა გაიარე სახელიანად, კაცურად, არასოდეს გეშინოდა მართალი სიტყვის თმის, ენაც გიჭრიდა და გონებაც. ბევრი ლამაზი და სამახსოვრო მოგონება დაუტოვე შენს საყვარელ რაიონს, მეგობრებს, თანამშრომლებს, სანათესაო-სამეზობლოს. მეც მუდამ ღიმილით მახსენდება ჩვენი პაექრობა. ჩვენი რედაქციის ყოფილ თანამშრომელს არ მოგწონდა, ხანდახან რაიონის ხელმძღვანელობის არაკანონზომიერ ქმედებას, გაჭირვების გამო, თუ წავუყრუებდით-ხოლმე. არ გვერიდებოდი, მოდიოდი და პირუთვნელად მიგვითითებდი ნაკლოვანებებზე. გაზეთის 60 წლისთავისათვის კი შენს მეგობრულ შარჟში „შირაქს“ გვკენწლავდი და ლექსს ასე ამთავრებდი: „ნაირა გწერს, გოგი გბეჭდავს, არენდით ხომ არ აგიღესო“. მე სამაგიერო ლექსი მოგწერე, სადაც, სხვა ბევრ რამესთან ერთად, შენს ასაკსაც ვეხებოდი: „რადგან შენ უკვე გალეწე, შენი ცხოვრების კალო, სიმშურნის ჭია გაწვალებს, გავიწყებინებს თავსო“. პასუხი არ დააყოვნე: „როგორაც უნდა გავლეწო, ჩემი ცხოვრების კალო, ისეთი მშვენიერი ხარ, ჩვენო ნაირა ქალო, შენს შემხედვარეს ნუ მეტყვი, მოხუცებული ხარო“. და მართლაც, ასაკის მიუხედავად, შენ მოხუცს ვერავინ გინოდებდა: წელგამართული დადიოდი, სულ წამიწუთში გახსოვდა მოვლენები, სამშობლოსა და ერზე შეყვარებულს გული არ გიბერდებოდა. ლექსი და ჭადრაკი იყო შენი „პური არსობისა“. რომანტიზმით გაჟღენთილ შენს სიტყვას ბევჯერ მიუყენებია სიამოვნება საზოგადოებისათვის. გამორჩეულად კოლორიტი პიროვნება იყავ და ასეთი დარჩები ჩვენს მეხსიერებაში. უზომოდ დიდ პატივს ვცემდი შენს ნიჭიერებას, შენს ტრფიალს პოეზიისადმი, მომენატრება შენს მიერ წაკითხული ქართული კლასიკის შედევრები.

ნათელში იყავ, რაიონის ინტელიგენცის სახელით გემშვიდობები, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.

პატივისცემით
ნაირა გორაშვილი

საგარეჯოში შვილმა მამა თავში ნაჯახის ჩარტყმით მოკლა

საგარეჯოს რაიონის სოფელ გორონაში 29 წლის მამაკაცმა მამა თავში ნაჯახის ჩარტყმით მოკლა. შემთხვევა გუშინ, გვიან საღამოს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მამაკაცი ცხელ კვალზე დააკავეს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს პროკურორმა გიორგი ლილუაშვილმა განუცხადა, 29 წლის მამაკაცი თელავის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

„აღნიშნული პიროვნება უკვე დაკავებულია. ის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება, მას ბრალად განზრახ მკვლელობა ედება. როგორც ცნობილია 29 წლის მამაკაცმა ურთიერთშელაპარაკების დროს საკუთარი მამა მოკლა, მან თავში ნაჯახი ჩაარტყა,“ - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს პროკურორმა გიორგი ლილუაშვილმა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე (სსსკ-ის 108-ე მუხლით). გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

მონატრება

ბელურა მაჩაბლიშვილი

22 სექტემბერს ერთი წელი გავიდა, ჩემო ძვირფასო მეუღლე ბელურ, რაც შენი და ჩემი ცხოვრების გზები გაიყო, შენ ხშირად ამბობდი, რომ ძალიან მიყვარხარ და ამავე დროს მენანებიო, ობლად, უმამოდ გაზრდილი ხარო. რადგან მამა სამამულო ომში დამეღუპა, ამიტომ მინდა, რომ ჩემთან და შვილებში გაიხარო. ეს მართლაც ასე იყო, ჩვენი ცხოვრების ნახევარზე მეტი სიყვარულში გავატარეთ, მე მხოლოდ შენს ხელში ვიგრძენი სითბო-სიყვარული, სიკეთე, რაც კი შეიძლება ითქვას შეყვარების დღიდან შენი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, რაზედაც დიდი მადლობელი ვარ ჩემდამი პატივისცემისათვის. მინდა გითხრა, რომ დღემდე ისევ შენი იდეებით ვცხოვრობთ, ვაგრძელებთ კიდევაც შენს დანაბარებს, რაც შენს შვილებს სთხოვე. ყოველ წუთს თვალწინ მიდგახარ, მაგრამ შენ გთვლი ბედნიერ ადამიანად, რომ დამასწარი ამქვეყნიდან წასვლა და პირველი შენ ჩაეხუტებოდი ნუგზარის დაჭრილ გულს, რომელი გულიც შვილის უნახაობით ჰქონდა დაკოდილი. იქნება მოურჩინო ის იარები და მოუყვე სხვა კარგი ამბები დიტოს ვაჟკაცობაზე, რომელმაც დიდი სიყვარული დაიმსახურა ჩვენში გიორგი მაჩაბლიშვილის შემდეგ. დრო გავა და ალბათ გიორგიც ყველაფერს მიხვდება.

ნათელში იყავ, შენს სახელს არასოდეს დავივიწყებთ.

ციცინო გონაშვილი

შვილები: ლელა, გია ბილიაშვილები, დები: მერი, ნათელა, შვილიშვილები: დავით, ლევან, ნათია ლატარიები; ინგა, ევა ბილიაშვილები, სიძე ანატოლი, რძალი ეკატერინე, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან
ამირან ბილიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 სექტემბერს, 13 საათზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს ლელა ბილიაშვილს მამის
ამირან ბილიაშვილის
გარდაცვალების გამო.

გელა, ვაჟა, მანანა ბილიაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძის
ამირან ბილიაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გელა და ნათელა ბილიაშვილებს
ამირან ბილიაშვილის
გარდაცვალების გამო.

შპს გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლელა და გია ბილიაშვილებს მამის
ამირან ბილიაშვილის
გარდაცვალების გამო.

მაია პაპაჩაშვილი თანაგრძნობას უცხადებს ლელა ბილიაშვილის ოჯახს
ამირან ბილიაშვილის
გარდაცვალების გამო.

ნაირა გორაშვილი, გოგი, ზურაბ, მაგდა, ნატალი პოპიაშვილები, ირაკლი, ნია მელაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ნასრაშვილს და აკაკი ოზაშვილს ბიძაშვილის
ვალერი ნასრაშვილის
გადაცვალების გამო.

შპს „გაზეთ“ შირაქის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა კაკალაშვილს მეუღლის და ია ბაცაცაშვილს მამის
დავით (კაენა) ბაცაცაშვილის
გარდაცვალების გამო.

მაია პაპაჩაშვილი თანაგრძნობას უცხადებს მარინა კაკალაშვილის ოჯახს
დავით (კაენა) ბაცაცაშვილის
გარდაცვალების გამო.

მეუღლე მარინა კაკალაშვილი, შვილი ია ბაცაცაშვილი, სიძე ხვიჩა კიკილაშვილი. შვილიშვილი გოგა კიკილაშვილი იუწყებიან
დავით (კაენა) ბაცაცაშვილის
გარდაცვალებას. დაიკრძალა 17 სექტემბერს, დედოფლისწყაროში.

მეზობლები: გია პოპიაშვილი, გია ჯერვალიძე, დათო რობიტაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, თამაზ ჯიბლაშვილი, თემურ ჯიბლაშვილი, გურამ ნიკოაშვილი, გია გონაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, სოსო გოგაშვილი, მზია ბარბაქაძე, ომარ ალადაშვილი, ბერდო ნასრაშვილი, ლილი გონაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მარინე კაკალაშვილს, ია ბაცაცაშვილს, ხვიჩა და გოგა ზედელაშვილებს
დავით (კაენა) ბაცაცაშვილის
გარდაცვალების გამო.

ძმისცოლი დარეჯან ყოჩიაშვილი, ძმისშვილები: დათო, ეკა ბაცაცაშვილები, რძალი ნინო; ძმისშვილიშვილები: ნიკა, მერაბი, ნინო ღრმა მწუხარებით იუწყებიან
დავით (კაენა) ბაცაცაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ და ლალი აბაშიძეები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ მარინა კაკალაშვილს, ია და ხვიჩა კიკილაშვილებს
დავით (კაენა) ბაცაცაშვილის
გარდაცვალების გამო.

ულოცავენ!

ქეთი მუშკუდიანს!

ჩვენო საყვარელო ქეთი, გილოცავთ ოქროს დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას შენს ლამაზ, ახალგაზრდა ოჯახთან ერთად. ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეთ და მუდამ გფარავდეს ღვთისმშობლის კალთა, შენ ხომ ასეთ მადლიან დღეს - 21 სექტემბერს ხარ დაბადებული.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები

კლარა ოზაშვილს! გუგული ალადაშვილს!

გილოცავთ შვილიშვილის გიორგი თულაშვილის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხვას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს ცხოვრებაში. უფალი ფარავდეს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები

ანი ყოჩიაშვილს!

ჩვენო საოცნებო ანი, გილოცავთ სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრებას და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაბარებას. გისურვებთ ჩარიცხვას. ღმერთი იყოს შენი მეგზური.

ბებო ეთერ ლიქოკელი, ბიძა მინდია, ბიძაშვილები: ეთო, ვეფხო, ლაშა, ნიკა, კოზა, ნინი ლიქოკელები, რძალი ლია გურდული.

ლალი აბაშიძეს!

გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს, ჩვენო თბილო და მშვენიერო მეგობარო. გისურვებთ ჯანმრთელობას და გახარებას შენს ოჯახთან ერთად, მალე შენი შვილების ბედნიერებაც გვეზეიმოს.

უახლოესი მეგობრები: ნელი შოშიაშვილი, მზია ხატიაშვილი, ელენე კიკილაშვილი, ჯულეტა წივილაშვილი

მადლიერება

მარტოხელა დედა ვარ, სოციალურად დაუცველი და უნარშეზღუდული. კეთილი ადამიანების თანადგომა ხშირად მიგრძვნია. ახლახან ძალიან ცუდად გავხდი, შეიძლება ითქვას სიკვდილს ძლივს გადამარჩინეს. ამ მძიმე წუთებშიც ძალიან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი. ამიტომ, თანადგომისა და ყურადღებისთვის მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დედოფლისწყაროს მაჟორიტარ დეპუტატს ზაზა კედელაშვილს, საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს ლევან ბაღაშვილს და ლევან მჭედლიშვილს. იხარეთ და იბედნიერეთ, ამ მძიმე წუთებში გამოჩენილი მხარდაჭერისთვის.

მაია ტუხაშვილი

სასწრაფოდ იყიდება

ოროთახნახევრიანი პრივატიზებული ბინა ოთხსართულიანი კორპუსის მეოთხე სართულზე (სახურავი გაკეთებულია კაპიტალურად). ბინა გარემონტებულია. უზრუნველყოფილია გათბობით, ცხელი წყლით, ტელეფონით, ინტერნეტით, ავეჯით , ავტოფარეხით ,მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთით.

ბინა მდებარეობს ქალაქის ცენტრში, პირველი საშუალო სკოლის უკან, ეკლესიასთან. ე.წ. „სამხედრო კორპუსში“.

საკონტაქტო 599 719 888, 571 719 888, 0356 225 333, 0356 223 160.

მადლიერება

ძველი ქართული სიბრძნეა: „მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო“.

მართლაც, სიკეთე ხომ არასოდეს იკარგება. იგი ყოველთვის ნათელ კვალს ტოვებს ცხოვრებაში. და თუ სიკეთეს კიდევ ახალი სიკეთე მიემატება, ის ხომ უფრო გაძლიერდება, გაღრმავდება და ყველგან სიყვარული, სითბო, ურთიერთთანადგომა და ბედნიერება დაისადგურებს. კეთილი საქმის ავტორები კი არასოდეს მოექცევიან ჩრდილში. მათი სახელები ყოველთვის დაუვიწყარნი იქნებიან ადამიანების გონებაში. დიდი ილია ჭავჭავაძეც ხომ ამას ამბობდა: „ყოველმა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რისი შემძლებელიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურება აღარ იქნებაო“.

სწორედ, ასეთი დიდი სასიკეთო საქმე გაკეთდა სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში . დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ჩვენი სკოლა (ყოფილი წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლა) უძველესი ტრადიციების სკოლაა. წლების მანძილზე აქ აღიზარდა მრავალი ღირსეული ახალგაზრდა თაობა.

2010 წლიდან ხორნაბუჯის საჯარო სკოლას შეექმნა ფინანსური პრობლემები. მიუხედავად სკოლის დირექციის არაერთი მცდელობისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მოსწავლეთა სასიკეთოდ გადაჭრილიყო ეს საკითხი, მთელი სამი წლის განმავლობაში პრობლემა ისევ პრობლემად რჩებოდა, სკოლა გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი.

დიდი მადლობა სოფელ ხორნაბუჯის რწმუნებულს ტარიელ ღარიბაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს მიხეილ ბახუტაშვილს. მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი სოფლის არაქართველი მოსწავლეების, მათი მშობლების, პედაგოგების, ასევე სკოლის ყოფილი კურსდამთავრებულების სურვილი და მოგვარდა უდიდესი საქმე: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე გაიხსნა რუსული სექტორის პირველი კლასი და გადაიჭრა ფინანსური პრობლემებიც. ამით შევინარჩუნეთ უძველესი ტრადიციები და სკოლის სახეც.

გვინდა, ვისარგებლოთ შემთხვევით და უდიდესი მადლიერება გამოვხატოთ ჩვენი ქვეყნის ახალი მთავრობის მიმართ. თითოეულ მოსწავლეზე უფასო სახელმძღვანელოების დარიგება ხომ დიდი დახმარებაა ჩვენი ოჯახებისათვის.

კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას ასეთი დიდი სასიკეთო საქმეებისათვის, კვლავაც დიდი წარმატებებით გევლოთ და მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთებულიყოს ჩვენს მშობლიურ მუნიციპალიტეტში.

პატივისცემით, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექცია.

მადლიერება

დედოფლისწყაროში, ე.წ. შირაქის დასახლებაში, უკვე ათეული წლებია, ხალხი ელექტროენერგიის გარეშე ვცხოვრობთ. განათების საშუალებას მამა-პაპური ლამპები წარმოადგენდა და ჩვენთვის ტელევიზორიც კი ფუფუნება იყო. დედოფლისწყაროს გამგებლის ინიციატივით კი ეს უკვე წარსულად იქცა. რამდენიმე დღის წინ ჩვენს დასახლებაში კვლავ აინთო ნათურა. მადლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს ჩვენზე ზრუნვისათვის.

პატივისცემით,
„შირაქის“ დასახლების მცხოვრებლები

ამ სამადლობელი წერილის დაწერა რამდენიმე დღის წინ განვითარებულმა მოვლენებმა გადამაწყვეტინა. ვგულისხმობ ქალაქ წნორში გარდაცვლილი მშობიარის ოჯახის წევრებსა და ექიმ გია მოსულიშვილს შორის მომხდარ ინციდენტს. მე მესმის გარდაცვლილი პაციენტის ოჯახის წევრების მდგომარეობა, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ექიმი გია მოსულიშვილი უპასუხისმგებლოდ მოიქცა, ან მან პაციენტის გადასარჩენად არ იბრძოლა. მე თვითონ ვიყავი მისი პაციენტი და საკუთარ თავზე გამოვცადე ბატონი გიას პროფესიონალიზმი. ის რომ არ ყოფილიყო, მე და ჩემი შვილი დღეს ცოცხლები აღარ ვიქნებოდით. ამიტომ არ მჯერა, რომ მან დაარღვია ექიმის ფიცი და გარდაცვლილს რაიმე არასწორად გაუკეთა. მჯერა, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, აუცილებლად გადაარჩენდა მასაც. პირადად მე, მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები ჩვენიორი გადარჩენილი სიცოცხლისათვის.

პაციენტი, ირინე შაბიაშვილი

რამდენიმე დღის წინ შემექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, წამიყვანეს ქ. წნორში მდებარე არქიმედეს კლინიკაში, რომლის დირექტორმა ნუკრი ყარალაშვილმა და ქირურგმა გოგი ნიკვაშვილმა ყურადღება არ მომაკლეს. მათი წყალობით წარმატებით ჩამიტარდა ოპერაცია და დღეისთვის თავს კარგად ვგრძნობ. მადლობა მათ ამისათვის. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ექიმებს: ლილი ბეგაშვილს, ნუკრი ბაღაშვილს და ავთანდილ ხარხელაურს, რომელთა მიერ დროულად და სწორად დასმულმა დიაგნოზმა სიცოცხლე შემინაჩუნა.

პატივიცემით, რიმა ხუციშვილი.

აუქციონი

ზემო ქედის №2 საჯარო სკოლა აცხადებს პირობით აუქციონს სკოლის შენობის

ა) 12 კვ.მ ფართის ოჯარით გაცემაზე. მიზანი: ბუფეტის ფუნქციონირება. ფართის წლიური ღირებულება 500 ლარი. ოჯარის ვადა 2 წელი.

პირობები: ბოჯი-ქირის 5%.

სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა,მიზნის შესაბამისი საქმიანობის წარმოება. ოჯარით არსებული ქონების გაფრთხილება. გადახდის ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

პირობით აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. *განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.*
2. *„ბ“ წლიური გადასახადის —10%*
3. *მონაწილეობის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი მოწმობის ასლი*
4. *ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მყიდველი მოქმედებს სხვა სახელით.*

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ან უცხო ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

განცხადება მიიღება გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, შაბათ-კვირის გარდა. პირობითი აუქციონი ჩატარდება 30-ე კალენდარულ დღეს.

განცხადების მიღება იწარმოებს მისამართზე: ზემო ქედის №2 საჯარო სკოლა.

577 24 30 20

ყურადღება

დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებელი აცხადებს მილებას 2013-2014 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

- მედდის საქმე;
- სამეანო საქმე;
- ფარმაცია;
- ორთოპედიული სტომატოლოგია;
- სამართალმცოდნეობა;
- უცხო ენა;
- დაწყებითი განათლება;
- ბიზნესის მენეჯმენტი;
- ფინანსები და ეკონომიკა (საბულალტრო);
- ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;
- ჟურნალისტიკა;
- ვეტერინარია;
- ტურიზმი (გიდი)

სწავლა ფასიანია. საწავლებლად მიიღებიან 9, 10, 11 და 12 კლასდამთავრებულები.

სწავლების ვადა 2 წელი.

ჩარიცხვა გასაუბრებით!

საბუთების მიღება დაიწყო 26 აგვისტოდან.

საჭიროა წარმოადგინოთ: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, 4 ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3/4) და პირადობის მოწმობის ასლი.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №32(დედოფლისწყაროს არქივის შენობა, მეორე სართული).

საკონტაქტო 0356 22 52 73; 599 74 73 98.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 23.09	სამშაბათი 24.09	ოთხშაბათი 25.09	ხუთშაბათი 26.09	პარასკევი 27.09	შაბათი 28.09	კვირა 29.09
დღე	16 °	15 °	17 °	12 °	14 °	13 °	13 °
ღამე	14 °	14 °	10 °	11 °	12 °	10 °	12 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K